



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება N01-77/ნ

6 სექტემბერი 2021 წ.

ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო - ემბლემა თანდართული სახით.

2. ემბლემა - მეწამული არშიით შემოსაზღვრული ჰერალდიკური ფარის ლაჟვარდის ველზე ვერცხლის არშიით გამოსახულია მცირე ჰერალდიკური ფარი. მცირე ფარის ლაჟვარდის ველზე გამოსახულია ვერცხლის ჭანჭიკის და ლუპის სტილიზირებული შერწყმით მიღებული ემბლემის მთავარი ფიგურა.

3. ამ ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების გამოყენება (აღმართვა, გამოფენა, გამოსახვა და ა.შ.) ხდება სამსახურის საქმიანობის ფარგლებში და მიზნებისათვის, ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, ამ ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების გამოყენების წესები, მათ შორის, მათი ინსპექტორთა ფორმის ტანსაცმელზე, ავტომობილებზე დატანის წესები და ა.შ. შესაძლებელია, დაზუსტდეს სამსახურის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED
TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური
LEPL LABOUR INSPECTION OFFICE



KA030460639314121

საქართველო, თბილისი 0119, აკ. წერეთლის გამზ. 144; ცხელი ხაზი 1505; ელ.ფოსტა: infolio@moh.gov.ge
144 Ak. Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Hot line 1505; E-mail: infolio@moh.gov.ge

№ 09/2229

10 / სექტემბერი / 2021 წ.

პერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ მამუკა გონგაძეს

ბატონო მამუკა,

„სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გეგზავნებათ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N01-77/ნ ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო - ემბლემა.

პატივისცემით,

მთავარი შრომის ინსპექტორი

ხელმოწერილია/
შტამვდასმულია
ელექტრონულად

ბექა ფერაძე

სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის ემბლემა

სამსახურის ემბლემა



აღწერილობა:

მეწამული არშით შემოსაზღვრული ჰერალდიკური ფარის ლაჟვარდის ველზე ვერცხლის არშით გამოსახულია მცირე ჰერალდიკური ფარი. მცირე ფარის ლაჟვარდის ველზე გამოსახულია ვერცხლის ჭანჭიკის და ლუპის სტილიზირებული შერწყმით მიღებული ემბლემის მთავარი ფიგურა.